Erasmus+

სტუ-ს თანამშრომლის მობილობა ტრეინინგის მიზნით ალკალის უნივერსიტეტში

2022 წლის 6 - 11 ივნისს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტრონული სასწავლო რესურსების ცენტრის საგამოცდო პროცესებისა და სწავლების ელექტრონული სისტემების განყოფილების უფროსი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასოც. პროფ. თამარ კუპრეიშვილი Erasmus+ KA107 გაცვლითი პროექტის ფარგლებში, ადმინისტრაციული თანამშრომლის მობილობით იმყოფებოდა ალკალის უნივერსიტეტში (University of Alcala) (ალკალა, ესპანეთი), პროექტის კოორდინატორი უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ თანამშრომელთა ტრეინინგის საერთაშორისო კვირეულზე.

ალკალის უნივერსიტეტში თამარ კუპრეიშვილი დაესწრო საერთაშორისო კვირეულს, რომელიც მოიცავდა მრავალ აქტივობას, პრეზენტაციებსა და მოხსენებებს ინტერნაციონალიზაციის გაღრმავების მიმართულებით. მოხსენებები და პრეზენტაციები ჩატარებულ იქნა როგორც ალკალის უნივერსიტეტის პროფესორებისა და კოორდინატორების მიერ, ისე კვირეულში მონაწილე პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლების მიერ. საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით მოხსენებებით გამოვიდნენ: ბატონი ანტონიო გუერო, პროგრამის კოორდინატორი; ქალბატონი პეპა როდრიგესი; ბატონი ნაჩო როდრიგესი; ბატონი ხორხე სერანო.

პრეზენტაციები გაკეთდა ერაზმუსის პროექტებთან, კერძოდ, გაციფრულების საკითხებთან დაკავშირებით.

საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში, ალკალის უნივერსიტეტის კოორდინატორების მიერ ჩანიშნული იყო სხვადასხვა ფაკულტეტის მონახულება, სადაც სტუმრებს შეხვდნენ ფაკულტეტების ხელმძღვანელი პირები და მათი წარმომადგენლები და საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში ჩამოსულ სტუმრებს წარმოუდგინეს პრეზენტაციები თავიანთი ფაკულტეტების შესახებ. კონკრეტულად, ვიზიტი განხორციელდა შემდეგ ფაკულტეტებზე: სამართლის; არქიტექტურის; ეკონომიკის, ბიზნესისა და ტურიზმის; ფილოსოფიისა და ხელოვნების; ფარმაციის.

საერთაშორისო კვირეულზე მსოფლიოს ექვსივე კონტინენტიდან იყვნენ ჩამოსულები სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლები და შესაბამისად, კომუნიკაციის პროცესიც ძალიან საინტერესო აღმოჩნდა, განსაკუთრებით, როდესაც მონაწილეებმა თავიანთი სახელმწიფოსა და უნივერსიტეტის შესახებ პრეზენტაციები წარმოადგინეს.
თამარ კუპრეიშვილმა ზოგადად ისაუბრა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტზე, საგამოცდო ცენტრზე და სასწავლო პროცესებზე, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე, მის სპეციფიკაზე. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტით და კონკრეტულად, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამით დაინტერესდა ალკალის უნივერსიტეტის ერთ-ერთი კოორდინატორი, რომელიც, ამავდროულად, გახლდათ ალკალის უნივერსიტეტის

დოქტორანტი. მან გამოთქვა სურვილი, რომ ერთკვირიანი მობილობა განახორციელოს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, რომელიც მიმდინარე წლის ივლისის თვეში ჩაინიშნა.

ასევე, ესპანელმა მასპინძლებმა და ალკალის უნივერსიტეტის წარჩინებულმა სტუდენტებმა საერთაშორისო კვირეულს მრავალფეროვნება შესძინეს კულტურული ღონისძიებებით და სტუმრებს დაათვალიერებინეს ქალაქის ისტორიულ-კულტურული ღირსშესანიშნაობები, მუზეუმები, თეატრები, ბიბლიოთეკა. ასევე, რამდენჯერმე მოიწვიეს სტუმრები სადილსა და ვახშამზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ რამდენიმე ფოტოს.